



სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური
დირექტორის

ბრძანება № 223

2016 წლის 17 ეთებული

ქ. თბილისი

„2016 წლის ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობების და საკონკურსო განაცხადის ფორმების დამტკიცების შესახებ“ სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2016 წლის 22 აპრილის N78 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის უფროსის გიორგი ხიშტოვანის სამსახურებრივი ბარათის (N1358639, 14.11.2016) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება „2016 წლის გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობების და საკონკურსო განაცხადის ფორმების დამტკიცების შესახებ“ სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2016 წლის 22 აპრილის N78 ბრძანების დანართი ერთით დამტკიცებულ კონკურსის პირობებში და პირობების:

ა) მე-3 მუხლის მე-10 პუნქტის „გ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) განმცხადებელს პროექტის ხელმძღვანელის სტატუსტით კონკურსში მონაწილეობისა და ერთი პროექტის წარმოდგენის უფლება აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის არ არის სამეცნიერო ხელმძღვანელი ფონდის ერთ მიმდინარე გრანტში ზემოთ აღნიშნული სამი კონკურსიდან ერთ-ერთის ფარგლებში (FR, AR, DI), ან არის აღნიშნულ სამი კონკურსიდან ერთ-ერთში გამარჯვებული საგრანტო პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი, მაგრამ გრანტი დასრულებული და დახურული იქნება 2016 წელს გამოცხადებული ზემოაღნიშნული კონკურსების გამარჯვებულების გამოვლენამდე“.

„ე) მეცნიერს შეუძლია კონკურსში მირითადი პერსონალის სტატუსით ერთ პროექტში მონაწილეობა, თუ იგი ჩართულია მირითადი პერსონალის სახით ერთ-ერთი კონკურსის (FR, AR, DI) ფარგლებში მიმდინარე ორ გრანტში, მაგრამ აღნიშნული პროექტებიდან ერთ-ერთი დასრულებული და

დახურული იქნება 2016 წელს გამოცხადებული ზემოაღნიშნული კონკურსების გამარჯვებულების გამოვლენამდე".

- "ვ) მეცნიერს შეუძლია კონკურსში მირითადი პერსონალის სტატუსით ორ პროექტში მონაწილეობა, თუ იგი ჩართულია მირითადი პერსონალის სახით ერთ-ერთი კონკურსის (FR, AR, DI) ფარგლებში მიმდინარე ერთ გრანტში, მაგრამ აღნიშნული პროექტი დასრულებული და დახურული იქნება 2016 წელს გამოცხადებული ზემოაღნიშნული კონკურსების გამარჯვებულების გამოვლენამდე".
2. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება;
 3. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;
 4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

მარინე ჩიტაშვილი

